

საქართველოს კანონი

„პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის, პარლამენტის წევრის, პარლამენტის აპარატისა და პარლამენტთან არსებული აუდიტორიული საქმიანობის საბჭოს მოხელეების საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30(37), 1999 წელი, მუხ. 160) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დაზღვევის სუბიექტები

1. დაზღვევის სუბიექტები არიან:

ა) დაზღვეული – საქართველოს პარლამენტის წევრი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება დაზღვევა;

ბ) დამზღვევი – პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან. დამზღვევი იმავდროულად წარმოადგენს დაზღვეულს.

გ) მზღვეველი – სადაზღვევო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი ლიცენზიის მქონე სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევას.

2. პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება ვაუჩერის გზით.

3. მზღვეველის შერჩევა წარმოებს დაზღვეულის მიერ ვაუჩერით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.“.

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

5. მე-9 მუხლის შემდეგ დაემატოს 9¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9¹.

ვაუჩერის პირობები (მათ შორის, ორგანიზაციების ნების გამოხატვის, ვაუჩერის გაცემის წესი, სამედიცინო მომსახურების სრული ნუსხა, ვაუჩერის ღირებულება, აგრეთვე ვაუჩერის გამოყენებასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები) რეგულირდება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონით, ამ კანონითა და საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.“.

6. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის წევრის სოციალისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ დადგენილი წესისა და საქართველოს პარლამენტის წევრსა და მზღვეველ იურიდიულ პირს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი